სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება №142

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი **23 ივლისი 2019წ.**

ხელშეკრულების მხარეები:

შპს **„ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"** (ს.კ 245426490; შემდგომში **„შემსყიდველი"**) წარმოდგენილი მისი დირექტორი **მინდია კახიძე;**

შპს **„მედინიუსი"** (ს.კ 412718769; შემდგომში **„მიმწოდებელი"**) წარმოდგენილი მისი დირექტორი **რაჟდენ ფაიტიანც;**

ორთავე ერთად **„მხარეები"**, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.5 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ/სამუშაო დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,მომსახურება'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სამედიცინო მოწყობილობების **(სახარჯი მასალა)** მიწოდება.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერა მოცემულია №1 დანართში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი;

2.3. კლასიფიკატორის კოდი: **33100000.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1344,80 **(ერთი ათას სამასორმოცდაოთხი ლარი და 80 თეთრი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, **(თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიის სუბსიდირება)** №1 დანართის თანახმად, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე (რომელსაც მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ყოველი კონკრეტული მიწოდების დროს) არაუგვიანეს **10 (ათი) სამუშაო** დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი'' შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად.

5.2. მიმწოდებლის მიერ საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, გამოვლენიდან/შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.5. შემსყიდველის მიერ მოცემულია სამედიცინო მოწყობილობების (სახარჯი მასალა) სავარაუდო რაოდენობა, რომელიც შეიძლება სრულად არ იქნეს ათვისებული.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის მისამართი - ქ. ბათუმი, პუშკინის 154.

6.2. საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან **2019 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით №1 დანართის თანახმად, შემსყიდველის მოთხოვნიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში.

7. გარანტია

7.1. მიწოდებული საქონლის (გარდა წნევის აპარატისა) ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს არანაკლებ **12 (თორმეტი)** თვე მიწოდების მომენტიდან, თანახმად №1 დანართისა.

7.2. მიწოდებული საქონლის-წნევის აპარატის ფონენდოსკოპით ვარგისიანობის ვადა უნდა განისაზღვროს არა ნაკლებ **7 (შვიდი)** თვე მიწოდების მომენტიდან.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება №1 დანართის შესაბამისად;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდება გარანტიის მოქმედების ვადაში, აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი გამოვლენიდან/შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში;

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი. აფთიაქის გამგე.

9.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02 %.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია

დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2020 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

16.1. ,,მხარეები“ ვალდებულნი არიან, რეკვიზიტების ცვლილებები წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს.

„შემსყიდველი“

შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი”
საიდენტიფიკაციო კოდი: 245426490
მის: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.№154
ელ. ფოსტა: batumi03@gmail.com
ტელეფონი: +0422 25 87 03;

მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის№ GE92TB4457736020100006

დირექტორი:
მინდია კახიძე

„მიმწოდებელი“

შპს „მედინიუსი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 412718769
იურიდ. მის: ქ. ქუთაისი, ქ. ლ. ასათიანის №83/შესახვევი V, №2 (ნაკვეთი №1);
ელ. ფოსტა: medaniusi@mail.ru
ტელეფონი: (+995) 593 39 43 57;

მიმღები ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის №GE87BG0000000668760700

Rajden Phaitiants
Digitally signed by Rajden Phaitiants
Date: 2019.07.23 11:26:38 +04'00'

დირექტორი:
რაჟდენ ფაიტიანც

" GENTRE OF FIRST AID OF BATUMI ''LTD
Подписано цифровой подписью: " GENTRE OF FIRST AID OF BATUMI ''LTD
Дата: 2019.07.23 11:36:29 +04'00'

ქ. ბათუმი 23 ივლისი 2019 წელი

ხელშეკრულება №142

დანართი №1

№	საქონლის დასახელება/მახასიათებლები	მწარმოებელი ქვეყანა	მწარმოებელი კომპანია	განზომილების ერთეული	საგარანტიო პერიოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1.	ცხვირის კანულა ჟანგბადის მოზრდილების	თურქეთი	,,ჰარმედი“	ცალი	ვარგისიანობის ვადა არის 12 თვე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან	150	0.55	82,50
2.	ე.კ.გ. კაბელი 10 წვერიანი	ჩინეთი	,,კონტეკი“	ცალი		3	120	360
3.	გადასასხმელი სისტემა, უფილტრო (ინფუზიური)	გერმანია	,,ვოთ-მედიკალ“	ცალი		20	0.4	8
4.	ენის ფიქსატორი ხის (სტერილური) 15*19*16	თურქეთი	,,გალენა“	ცალი		1000	0.055	55
5.	გლუკომეტრის ჩხირი №50 ACCU-CHEK	გერმანია	,,როშე“	ცალი		800	0.5	400
6.	წნევის აპარატი, ფონენდოსკოპით	შვეიცარია	,,ფორა“ მოდ:P-91	ცალი	ვარგისიანობის ვადა არის7თვე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან	3	22	66
7.	თერმომეტრი	ჩინეთი	,,გრით-მედი“	ცალი	ვარგისიანობის ვადა არის 12 თვე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან	12	1.4	16,80
8.	ლახტი ვენა ინექციისათვის	ჩინეთი	,,გრით-მედი“	ცალი		50	1.5	75
9.	სკარიფიკატორი (საჩხვლეტი)	ჩინეთი	,,გრით-მედი“	ცალი		800	0.03	24
10.	ე.კ.გ. ქაღალდი 80*20	თურქეთი	,,ბურაკ-დია“	ცალი		100	2.5	250
11.	კარდიოგრაფის ჟელე 250მლ	თურქეთი	,,აქუა“	ცალი		3	2.5	7.50
								ჯამი: 1344,80